

შპს “პრინცეს ბათუმი“
ფინანსური ანგარიშგება
აუდიტის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	7
ანგარიშგება სრული შემოსავლების შესახებ.....	8
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ.....	9
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ.....	10
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. ამონაგები.....	17
4. ხარჯები	17
5. მოგება განაწილებამდე.....	17
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
7. გაცემული სესხები.....	18
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	18
9. ძირითადი საშუალებები.....	19
10. არამატერიალური აქტივები.....	19
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
12. საგადასახადო ვალდებულებები.....	20
13. სასესხო ვალდებულებები.....	20
14. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება.....	20
15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	21
მმართველობის ანგარიშგება	
1. შესავალი.....	22
2. წარდგინება დირექტორისაგან.....	22
3. კომპანიის შესახებ.....	22
4. კომპანიის საქმიანობა.....	23
5. შიდა სტრუქტურა.....	23
6. სამომავლო გეგმები.....	24
7. რისკ-ფაქტორები.....	24



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პრინცეს ბათუმი“-ს

დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს პრინცეს ბათუმი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) შესაბამისად ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



სხვა ინფორმაცია

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია კომპანიის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების



შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რამაზ ტყემალაძე

შპს „აუდიტორული კომპანია GRB“

30 ოქტომბერი 2019 წელი



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რამაზ ტყემალაძე



შპს „აუდიტორული კომპანია GRB“

30 ოქტომბერი 2019 წელი

შპს "პრინცეს ბათუმი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	941514	1201787	913261
გადახდილი ავანსები	1076660	1238525	11869
მიმდინარე მარაგები	124006	512459	60644
სავაჭრო მოთხოვნები	144045	368527	16179
სხვა მიმდინარე აქტივი	14108672	4660392	1060828
სხვა არამატერიალური აქტივები	2640	3106	3654
ძირითადი საშუალებები	818914	74662	0
სულ აქტივები	17216450	8059457	2066435
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1253219	1563239	63246
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-100571	2261	98080
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0	35767
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	610729	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	440	0	1856250
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	882840	0	5727
სულ ვალდებულებები	2646657	1565501	2059071
კაპიტალი	500	500	500
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14569293	6493456	6865
სულ საკუთარი კაპიტალი	14569793	6493956	7365
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	17216450	8059457	2066435

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	941514	1201787	913261
გადახდილი ავანსები	1076660	1238525	11869
მიმდინარე მარაგები	124006	512459	60644
სავაჭრო მოთხოვნები	144045	368527	16179
სხვა მიმდინარე აქტივი	14108672	4660392	1060828
სხვა არამატერიალური აქტივები	2640	3106	3654
ძირითადი საშუალებები	818914	74662	0
სულ აქტივები	17216450	8059457	2066435
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1253219	1563239	63246
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-100571	2261	98080
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0	35767
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	610729	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	440	0	1856250
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	882840	0	5727
სულ ვალდებულებები	2646657	1565501	2059071
კაპიტალი	500	500	500
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	14569293	6493456	6865
სულ საკუთარი კაპიტალი	14569793	6493956	7365
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	17216450	8059457	2066435

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	34663972	29276095
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(2944743)	(2004221)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(10227672)	(8509181)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(7107492)	(5593042)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(25000)	(10174)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(2840)	(538)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(24750)	(16792)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(81291)	(64416)
იჯარის ხარჯი	(3228625)	(2644269)
ცვეთა და ამორტიზაცია	(121006)	(19214)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5790340)	(5063335)
საოპერაციო მოგება	5110213	5350912
სხვა ფინანსური შემოსავალი	2965624	1135679
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	8075837	6486590
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	8075837	6486590
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	8075837	6486590

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ


მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	34663972	29276095
გამოყენებული ნედლეული და მასალები	(2944743)	(2004221)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(10227672)	(8509181)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(7107492)	(5593042)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	(25000)	(10174)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	(2840)	(538)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(24750)	(16792)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(81291)	(64416)
იჯარის ხარჯი	(3228625)	(2644269)
ცვეთა და ამორტიზაცია	(121006)	(19214)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5790340)	(5063335)
საოპერაციო მოგება	5110213	5350912
სხვა ფინანსური შემოსავალი	2965624	1135679
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	8075837	6486590
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	8075837	6486590
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	8075837	6486590

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:



მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	500	6865	7365
მოგება/(ზარალი)		6486591	6486591
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	500	6493456	6493956
მოგება/(ზარალი)		8075837	8075837
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2018	500	14569293	14569793

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცესს ბათუმი"
ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2016	500	6865	7365
მოგება/(ზარალი)		6486591	6486591
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2017	500	6493456	6493956
მოგება/(ზარალი)		8075837	8075837
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31.12.2018	500	14569293	14569793

შპს "პრინცესს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:



მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე წლის მოგება	8075831	6486591
მოგების გადასახადის არაფულადი ხარჯი		0
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	120540	18665
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	465,86	548
სასესხო მოთხოვნების (ზრდა) შემცირება	(1490089)	(4533000)
საპროცენტო მოთხოვნების (ზრდა) შემცირება	(7958191)	(127392)
წინასწარ გაწეული ხარჯი (მ.შ ლიზინგი) (ზრდა) შემცირება	143288	(143288)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	243058	(374887)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	388453	(451814)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	541822	648151
გადასახადები	(102832)	(33505)
პროცენტი	440	(5727)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	30997	753762
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6210)	2238103
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მანქანა-დანადგარების შეძენა	(864793)	(93327)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(864793)	(93327)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება		0
ნასესხები სახსრების გადახდა	610729	(1856250)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	610729	(1856250)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(260273)	288526
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	1201787	913261
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	941514	1201787

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

შპს "პრინცეს ბათუმი"
ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმდინარე წლის მოგება	8075831	6486591
მოგების გადასახადის არაფულადი ხარჯი		0
ძირითადი საშუალებების ცვეთა (+)	120540	18665
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	465,86	548
სასესხო მოთხოვნების (ზრდა) შემცირება	(1490089)	(4533000)
საპროცენტო მოთხოვნების (ზრდა) შემცირება	(7958191)	(127392)
წინასწარ გაწეული ხარჯი (მ.შ ლიზინგი) (ზრდა) შემცირება	143288	(143288)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა) (+/-)	243058	(374887)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა) (+/-)	388453	(451814)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება) (გ) (+/-)	541822	648151
გადასახადები	(102832)	(33505)
პროცენტი	440	(5727)
დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებების ზრდა	30997	753762
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(6210)	2238103
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მანქანა-დანადგარების შეძენა	(864793)	(93327)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(864793)	(93327)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება		0
ნასესხები სახსრების გადახდა	610729	(1856250)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	610729	(1856250)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(260273)	288526
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	1201787	913261
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	941514	1201787

შპს "პრინცეს ბათუმი"-ს

დირექტორის მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პრინცესს ბათუმი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 445483076, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: ქ.ბათუმი მემედ აბაშიძის ქ. N33. მისი ძირითადი საქმიანობაა აზარტული თამაშობების ორგანიზება.

კომპანიის 98%-იანი წილის მფლობელია ანიბალ ენის ოზქან, თურქეთი, 1%-იანი წილის მფლობელია შეიმა დემირჰან, თურქეთი, ასევე 1%-იანი წილის მფლობელია დურმუშ იათმაზ, თურქეთი. რომლებიც ასევე კომპანიის დირექტორები არიან. ხოლო დირექტორების მინდობილი პირები არიან მუსტაფა ილჰან სუჯუ და მამუკა ზაქარაძე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „პრინცესს ბათუმი“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ამონაგების აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება არსებული სეგმენტებიდან მიღებული შიდა საბილინგო ინფორმაციის საფუძველზე ყოველდღიურად, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის ფორმირება ბიზნესის სპეციფიურობიდან გამომდინარე არ ემთხვევა გეოგრაფიულ დღეს.

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გაიცა. გასაცემ დივიდენდებზე შეზღუდვა არ არსებობს და მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება გაცემული დივიდენდების ოდენობის გათვალისწინებით კანონის მოთხოვნის შესაბამისად. კომპანიის შემოსავლების არსებით წილს შეადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული შემოსავლები და დივიდენდები პირველ რიგში გაიცემა ამ მოგებიდან პროპორციის გათვალისწინებლად. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. საწარმოს მფლობელისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად.

ყოველი პერიოდის ცვთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ყველა ძირითადი საშუალებების წლიური ცვთის ნორმა არის 20%. ცვთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ხდება ცვთის კლებადი თანხების დარიცხვა აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება შესაბამისად.

საადრინგხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა განსაზღვრულია 15%-ით, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით ძირითადი საშუალებების ცვეთის პრინციპების მსგავსად.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. სადაც მეიჯარე საწარმო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით. მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე. იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

არასავაჭრო პროფილის მიუხედავად სასაქონლო-მატერიალური მარაგების, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის პროცესში, ასახვა ხდება ბალანსზე შესაბამის ანგარიშზე მისი გამოყენების ფორმის მიხედვით (ძირითადი სახეებია საწვავი და საკვები პროდუქტები). ყოველდღიურად ხდება მათი გახარჯვა-გამოყენების აღრიცხვა, თუმცა გახარჯული სასაქონლო-

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

მატერიალური მარაგები ანგარიშიდან ჩამოიწერება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, კორექტირების შემდგომ საშუალო შეწონილის მეთოდით (ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას). სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან.

დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი სამართლიანი კომპენსაციის ოდენობით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას დაკავშირებულ პირებთან ოპერაციები ნაწარმოები არ აქვს.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 31 დეკემბერი,

	2018 წ.	2017 წ.
ლარი/აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044
ლარი/თურქული ლირა	0.5076	0.6874

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)**1. ამონაგები**

შემოსავლები	2018 წელი
შემოსავლები სამორინედან (ნეტო)	20,799,355
შემოსავლები სლოტებიდან (ნეტო)	13,270,070
სხვა საოპერაციო შემოსავლები	594,547
არასაოპერაციო შემოსავლები	2,965,623
სულ:	37,629,595

2. ხარჯები

დანახარჯები	2018 წელი
საოპერაციო ხარჯები	29,512,956
არასაოპერაციო ხარჯები	40,803
სულ ხარჯები:	29,553,759

3. მოგება განაწილებამდე

შედეგი	2018 წელი
სულ შემოსულობა	37,629,595
სულ ხარჯები	29,553,758
სულ მოგება:	8,075,837

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო მოთხოვნები	144,045	368,526
სხვა მოთხოვნები	1,076,660	1,238,525
სულ:	1,220,705	1,607,051

5. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
სესხი	12,491,190	4,533,000
სარგებელი	1,617,482	127,392
სულ:	14,108,672	4,660,392

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
საკვები პროდუქტები	104,360	149,818
სხვა მატერიალური ფასეულობები	19,645	362,641
სულ:	124,005	512,459

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

7. ძირითადი საშუალებები

შინაარსი	31/12/2018 წელი
ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება	74,662
შემოსული ძირითადი საშუალებები	864,792
გასული ძირითადი საშუალებები	0
წლიური ცვტა	(120,540)
საბოლოო საბალანსო ღირებულება	818,914

8. არამატერიალური აქტივები

შინაარსი	31/12/2018 წელი
არამატერიალური აქტივების საწყისი ღირებულება	3,106
შემოსული არამატერიალური აქტივები	0
გასული არამატერიალური აქტივები	0
წლიური ცვტა	(467)
საბოლოო საბალანსო ღირებულება	2,639

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,253,219	711,398
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	882,840	851,842
სულ:	2,136,059	1,563,240

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

10. საგადასახადო ვალდებულებები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
საგადასახადო ვალდებულებები	(100,571)	2,261
სულ:	(100,571)	2,261

11. სასესხო ვალდებულებები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
სასესხო ვალდებულებები	610,729	0
ვალდებულებები სესხის სარგებელზე	440	0
სულ:	611,169	0

12. კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	500	500
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	14,569,293	6,493,455
სულ:	14,569,793	6,493,955

მათ შორის:

საანგარიშო პერიოდის მოგება (დაბეგვრამდე)	8,075,837	6,486,591
მოგების გადასახადი	0	0
განაწილებული დივიდენდი	0	0

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

შინაარსი	31/12/2018	31/12/2017
ფულადი სახსრები სალაროში	940,372	1,188,841
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,142	12,946
სულ:	941,514	1,201,787

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 1 აგვისტოს.

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „პრინცეს ბათუმი“ მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

3. კომპანიის შესახებ

შპს „პრინცეს ბათუმი“ დაფუძნდა 2016 წლის 15 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. ბათუმში მემედ აბაშიძის ქუჩა #33. მისი 98%-იანი წილის მფლობელია ანიბალ ენის ოზქან (პ/ნ 54652076050, პას. ნომერი: U 08777920), ხოლო 1 და 1 პროცენტის მფლობელები არიან შეიმა დემირჰან (პ/ნ16100376914, პას. ნომერი: U 09443918) და დურმუშ იათმაზ (პ/ნ 15230857416, პას. ნომერი: U 08216068), რომლებიც ამავედროულად წარმოადგენენ კომპანიის დირექტორებს.

4. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი. კერძოდ სამორინესა და სათამაშო აპარატების საქმიანობის წარმოება. საქმიანობას ეწევა ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო შპს „აქტივ ბათუმის“ კუთვნილ სასტუმროში.

კომპანია ფლობს სამორინეს მოწყობის და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვებს 2016 წლის დეკემბრიდან.

კომპანია მიმართულია საქართველოში არსებული სათამაშო ბიზნესის სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიისა და განსხვავებული მომსახურების სფეროს ხარისხის განვითარებაზე. კომპანიას შეუძლია სამორინეში შემოსულ კლიენტს შეთავაზოს განსხვავებული ცოცხალი თამაშის მაგიდებისა და სათამაშო აპარატების ფართო არჩევანი. კომპანიის ძირითადი სამოქმედო ბაზარი არის თურქეთის რესპუბლიკა საიდანაც ხდება შესაბამისი წახალისებისა და პროდუქტების შეთავაზებით კლიენტების მოზიდვა.

ადგილობრივი ბაზარი წარმოადგენს კონკურენტულ გარემოს, სადაც კომპანია ცდილობს შექმნას საკუთარი პროდუქტი, რითაც მოიზიდავს კლიენტებს. კერძოდ კლიენტების მოსაზიდად კომპანიის მიერ ხდება სხვადასხვა საკონცერტო წარმოდგენების გამართვა, წამახალისებელი გათამაშებები, აგრეთვე ხდება კლიენტებზე ტრანსპორტირების, დაბინავებისა და კვების უზრუნველყოფის შეთავაზება.

კომპანიის მიმღებში რეგისტრირებული მომხმარებლების (კლიენტების) რეგისტრაციის ყოველდღიური მონაცემების მიხედვით 2018 წელს კომპანიას დღიურად საშუალოდ ყავდა 450 მომხმარებელი (კლიენტი).

კომპანიას ძირითადად გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სხვადასხვა საკვები თუ მომსახურების პროდუქტების შეძენისას.

5. შიდა სტრუქტურა

სამორინეს ყავს გენერალური მენეჯერი, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის დირექტორი. გენერალურ მენეჯერზე სტრუქტურულად დამოკიდებული არის შემდეგი დანაყოფები: ცოცხალი თამაშების, სათამაშო აპარატების, მიმღები, ფინანსური, მარკეტინგის, კამერების, ტრანსპორტირების უზრუნველყოფის, ბარის, ტექნიკური, დასუფთავების, დაცვის და სამზარეულოს დეპარტამენტები. თითოეულ დეპარტამენტს ყავს თავისი ხელმძღვანელი რომელიც ემორჩილება გენერალურ მენეჯერს.

6. სამომავლო გეგმები

კომპანია საქმიანობის განვითარების მიზნით გეგმავს დამატებითი ბაზრის ათვისებას, კერძოდ მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ ხდებოდა და ხდება ირანის, ისრაელის და შუა აზიის ბაზარზე მოსახვედრად აქტიური ღონისძიებების გატარება.

7. რისკ-ფაქტორები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე დირექტორების მინდობილი პირები.

შპს „პრინცეს ბათუმის“-ს
დირექტორების მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე

6. სამომავლო გეგმები

კომპანია საქმიანობის განვითარების მიზნით გეგმავს დამატებითი ბაზრის ათვისებას, კერძოდ მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ ხდებოდა და ხდება ირანის, ისრაელის და შუა აზიის ბაზარზე მოსახვედრად აქტიური ღონისძიებების გატარება.

7. რისკ-ფაქტორები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში.

მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე დირექტორების მინდობილი პირები.

შპს „პრინცეს ბათუმის“-ს
დირექტორების მინდობილი პირები:

მუსტაფა ილჰან სუჯუ

მამუკა ზაქარაძე